ჩემპიონატი

სსრკ პირველობაზე

მოსკოვი. ელვა, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან. 11 ივნისს **თბილისის „დინამოს“** ფეხბურთელები, რომელთა რიგებს აკლდა ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი და ხარბედია, თამაშობდნენ **მოსკოვის „ლოკომოტივის“** წინააღმდეგ.

შეჯიბრების პირველი წუთები დაიწყო ლოკომოტიველთა ენერგიული შეტევით. მათ მთელი რიგი ხელსაყრელი მომენტები შექმნეს „დინამოს“ საჯარიმო მოედანზე, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ გამოიყენეს. „დინამოს“ თავდამსხმელთა ცდამ თამაში გადაეტანათ მოწინააღმდეგეთა მხარეზე, უშედეგოდ ჩაიარა. 25-ე წუთზე კარცევმა (შუამარბი) ისარგებლა დამცველთა შეცდომით და გაიტანა მკვდარი ბურთი.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ჯორჯიკია შეცვალა დიაჩენკომ. თბილისელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, ისინი არ მოშორებიან მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანს, მაგრამ უშედეგოდ. ბერეჟნოიმ, პანიუკოვმა და გავაშელმა 2–3 მეტრ მანძილიდან ააცდინეს ბურთი კარს. მატჩი მოიგო „ლოკომოტივმა“, ანგარიშით – 1:0. თამაშს კარგად სჯიდა მსაჯი ბისტროვი.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 12 ივნისი, 1940 წ.